ხელშეკრულება № 17
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 5 მაისი 2016 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ ,,წყალტუბოს საფეხბურთო კლუბი სამგურალი"(შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან ვარდანიძის სახით და მეორე მხრივ შპს „სპორტ სალერ ცენტრი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ხარებავას სახით, ს/კ 404421345 (შემდგომში „მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 .სპორტული საქონლის და მოწყობილობების შეძენა.

) 2.2.კლასიფიკატორის კოდი:(37400000)

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 250 (რასორმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1."მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2." მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3.“ მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1.„შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველისა“ და „ მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2.მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი
დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება „შემსყიდველის“ მიერ მითითებულ მისამართზე.

6.2მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. “შემსყიდველს” უფლება აქვს:

7.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

7.1.2.შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.3 “შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს „ მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.2“. შემსყიდველი“ ვალდებულია :

7.2.1.უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3.“ მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

7.3.1.მოსთხოვოს „ შემსყიდველს“ მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვლისწინებული ყველა პირობა.

7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.4.1. მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

7.4.2. მოსთხოვოს“ შემსყიდველს“ საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1.“ შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მოსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30 (ოცდაათი) პროცენტს, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობებში არავითარი გადახრა ან ცვლილება არ დაიშვება ორივე მხარის ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

11.2 .თუ რაიმე წინასწარ გაუთვლისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.2. მხარე ვალდებულია ,არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 12.1.პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

12.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშკრულების შესრულების შეფერხება

13.1.თუ ხელშკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს,რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2.იმ შემთხვევაში თუ ხელშკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას რომელიმე მხარის მიმართ, თუ ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის“ ფორს-მაჟორული“ გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველის“ ან“ მიმწოდებლის“ შცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

14.3. „ფორს-მაჟორული“ გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14.4. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.5 .მხარე რომელსაც შეექმნა „ფორს-მაჟორული“ გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14.6. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს,მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

15. სხვა პირობები

15.1.არცერთ მხრეს არა აქვს უფლება, თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,ხარჯებითა და რისკით.

15.3.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვა თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამტება ძალშია მხოლოდ მას შემდეგ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხრეთა მიერ.

15.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 1 ივლისამდე

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
	შ.პ.ს ,,სპორტ სალერ ცენტრი“
ა(ა)იპ “ საფეხბურთო კლუბი სამგურალი“	ს/კ 404421345
ს/ნ 421268014	მისამართი: თბილისი მ.
გელოვანის გამ.21	
მისამართი: ქ წყალტუბო 26 მაისის ქ. 2	მომხ. ბანკი :სს „ თიბისი
ბანკი“	

ბ კოდი:TRESGE 22
44957004

ბანკის კოდი TBCBGE 22
ს/ს № GE 27 TB 7903936080100003

დირექტორი: ა. ვარდანიძე

დირექტორი: ლ. ხაოებაგა